საქართველოს მთავრობის

დადგენილება №39

2014 წლის 6 იანვარი

ქ. თბილისი

საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა (შემდგომში – პროგრამა), დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა

მუხლი 1. საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) განსაზღვრავს იმ ღონისძიებათა ნუსხას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ოლიმპიური თამაშებისა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მაღალ დონეზე მომზადებას და წარმატებით ასპარეზობას.

მუხლი 2. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ა(ა)იპ – საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, ა(ა)იპ – საქართველოს ეროვნულ პარაოლიმპიურ კომიტეტთან და ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან თანამშრომლობის გზით:

ა) უზრუნველყოს ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მომზადება და თამაშებში მონაწილეობის ორგანიზება;

ბ) მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ოლიმპიური და პარაოლიმპიური მზადების ციკლში ჩაბმული სპორტსმენების უზრუნველყოფას საწვრთნელი პირობებით, ინვენტარით, აგრეთვე ხელი შეუწყოს სპორტული კალენდრით გათვალისწინებულ საერთაშორისო შეჯიბრებებში მათ მონაწილეობას და მათი მატერიალური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

გ) გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები საქართველოს ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის ერთიანი სპორტული ფორმებისა და ეკიპირებით უზრუნველსაყოფად;

დ) შესაბამის უწყებებთან ერთად შეიმუშაოს წინადადებები:

დ.ა) ოლიმპიური მზადების ცენტრების შექმნის მიზნით შესაბამისი სპორტული ობიექტების შერჩევის თაობაზე;

დ.ბ) სპორტის სფეროში სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნისა და მისი შემდგომი

ფუნქციონირების შესახებ;

ე) შექმნას საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის ადმინისტრაციული ჯგუფი და ხელი შეუწყოს ეროვნული სპორტული ფედერაციების ადმინისტრაციული ჯგუფების საქმიანობას.

მუხლი 3. 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს XXXI და შემდგომი წლების ზაფხულის (აგრეთვე ზამთრის) ოლიმპიური თამაშებისათვის მოსამზადებელი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობები განისაზღვროს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წინადადების საფუძველზე.

მუხლი 4. 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს XXXI და შემდგომი წლების ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ციკლისა და ფინალური თამაშების მონაწილე (სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში) სპორტსმენთა, მწრთვნელთა, ნაკრები გუნდების საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის

წასახალისებლად, სპორტულ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგების მიხედვით დაწესდეს შემდეგი ფულადი პრიზები (ლარებში):

1. ოლიმპიურ თამაშებზე:

ა) I ადგილი – 170 000, გუნდური პირველობა – 340 000;

ბ) II ადგილი – 102 000, გუნდური პირველობა – 204 000;

გ) III ადგილი – 68 000, გუნდური პირველობა – 136 000;

დ) IV ადგილი – 20 400, გუნდური პირველობა – 40 800;

ე) V ადგილი –13 600, გუნდური პირველობა – 27 200;

ვ) VI ადგილი – 6 800, გუნდური პირველობა – 13 600.

2. მსოფლიოს ჩემპიონატებზე:

ა) I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 85 000, გუნდური პირველობა – 170 000;

ბ) II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 68 000, გუნდური პირველობა – 136 000;

გ) III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 51 000, გუნდური პირველობა – 102 000.

3. ევროპის ჩემპიონატებზე:

ა) I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 51 000, გუნდური პირველობა – 102 000;

ბ) II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 34 000, გუნდური პირველობა – 68 000;

გ) III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 25 500, გუნდური პირველობა – 51 000.

4. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ახალგაზრდებს შორის:

ა) I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 34 000, გუნდური პირველობა – 68 000;

ბ) II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 25 500, გუნდური პირველობა – 51 000;

გ) III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 17 000, გუნდური პირველობა – 34 000.

5. ევროპის ჩემპიონატებზე ახალგაზრდებს შორის:

ა) I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 25 500, გუნდური პირველობა – 51 000;

ბ) II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 17 000, გუნდური პირველობა – 34 000;

გ) III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 8 500, გუნდური პირველობა – 17 000.

6. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჭაბუკებს შორის:

ა) I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) -17 000, გუნდური პირველობა – 34 000;

ბ) II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 10 200, გუნდური პირველობა – 20 400;

გ) III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 6 800, გუნდური პირველობა – 13 600.

7. ევროპის ჩემპიონატებზე ჭაბუკებს შორის:

ა) I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 8 500, გუნდური პირველობა – 17 000;

ბ) II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 5 100, გუნდური პირველობა – 10 200;

გ) III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 3 400, გუნდური პირველობა – 6 800.

8. სპორტსმენთა პირად მწვრთნელებსა და ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ თითოეულს პირად შეჯიბრებებში მიღწეული შედეგისათვის სპორტსმენებისათვის განსაზღვრული საპრიზო თანხის 50-50 პროცენტი.

9. ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ პირად-გუნდურ და გუნდურ პირველობებში მიღწეული შედეგისათვის განსაზღვრული საპრიზო თანხის 50 პროცენტი.

10. ნაკრები გუნდების საექიმო პერსონალს მიეცეს სპორტსმენთა ჯამური საპრიზო თანხის 30 პროცენტი.

11. საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის ადმინისტრაციულ ჯგუფს მიეცეს ოლიმპიურ თამაშებზე სპორტსმენთა ჯამური საპრიზო თანხის 20 პროცენტი.

12. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების ადმინისტრაციულ ჯგუფს მიეცეს ამ მუხლის „2-7“ პუნქტებში გათვალისწინებულ შეჯიბრებებზე სპორტსმენთა ჯამური საპრიზო თანხის 10 პროცენტი.

13. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების (2015 წლის 1 იანვრის შემდეგ ასევე ზამთრის ოლიმპიური თამაშების) თითოეულ ლიცენზირებულ მონაწილეზე („ველური ბარათის“ მფლობელის გარდა), შესაბამის ეროვნულ სპორტულ ფედერაციას დამატებით მიეცეს 85 000 ლარი.

14. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი პრიზები ვრცელდება სროლის სახეობებში მსოფლიო თასის ფინალურ გათამაშებასა და ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო თასზე მიღწეულ ანალოგიურ შედეგებზე.

15. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გუნდური პირველობებისთვის გათვალისწინებული ფულადი პრიზები ვრცელდება საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების მიერ ჩოგბურთში ,,დევისის თასის“ (მამაკაცთა შორის) და „ფედერაციის თასის“ (ქალთა შორის) უმაღლესი ლიგის გათამაშებებზე მიღწეულ ანალოგიურ შედეგებზე.

16. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი პრიზები ვრცელდება ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის თასზე მიღწეულ ანალოგიურ შედეგებზე.

მუხლი 5. საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის (IPC) ეგიდით გასამართი შეჯიბრებების (პარაოლიმპიური თამაშები, დიდებს შორის მსოფლოს ჩემპიონატი, მსოფლიოს თასი და ევროპის ჩემპიონატი) გამარჯვებულებს, პრიზიორებს (ასევე პარაოლიმპურ თამაშებზე IV- VI ადგილებზე გასულებს), ნაკრები გუნდებისა და სპორტსმენთა პირად მწვრთნელებს, აგრეთვე საექიმო და ადმინისტრაციულ პერსონალს მიეცეთ ფულადი პრიზები ამ პროგრამის მე-4 მუხლის „1-3“ და „8-11“ პუნქტებით განსაზღვრული ოდენობებით.

მუხლი 6. ზამთრის ოლიმპიურ სახეობებში 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ გასამართი შეჯიბრებების (ზამთრის ოლიმპიური თამაშები, დიდებს, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები) გამარჯვებულებს, პრიზიორებს (ასევე ზამთრის ოლიმპურ თამაშებზე IV- VI ადგილებზე გასულებს), ნაკრები გუნდებისა და სპორტსმენთა პირად მწვრთნელებს, ნაკრები გუნდების საექიმო და ადმინისტრაციულ პერსონალს (ეროვნული სპორტული ფედერაციების და საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის ადმინისტრაციულ ჯგუფები) მიეცეთ ფულადი პრიზები ამ პროგრამის მე-4 მუხლის „1-12“ პუნქტებით განსაზღვრული ოდენობებით.

მუხლი 7. 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს XXXI და შემდგომი წლების ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ციკლში ახალგაზრდა პერსპექტიულ სპორტსმენთა წახალისების მიზნით, 2014 წლის ნანჯინგის II და შემდგომი წლების მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მონაწილეთათვის, აგრეთვე მწრთვნელებისა და საექიმო პერსონალისათვის დაწესდეს ფულადი პრიზები (ლარებში), აღნიშნულ შეჯიბრებაზე (პირადი, პირად-გუნდური და გუნდური პირველობები) მიღწეული შედეგების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

ა) I ადგილი – 42 500;

ბ) II ადგილი – 25 500;

გ) III ადგილი – 17 000;

დ) სპორტსმენთა პირად მწვრთნელებსა და ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ თითოეულს პირად შეჯიბრებებში მიღწეული შედეგისათვის სპორტსმენებისათვის განსაზღვრული საპრიზო თანხის 50-50 პროცენტი;

ე) ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ პირად-გუნდურ და გუნდურ პირველობებში მიღწეული შედეგისათვის განსაზღვრული საპრიზო თანხის 50 პროცენტი;

ვ) ნაკრები გუნდების საექიმო პერსონალს მიეცეს სპორტსმენთა ჯამური საპრიზო თანხის 30 პროცენტი;

ზ) მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების თითოეულ ლიცენზირებულ („ველური ბარათის“ მფლობელის გარდა) მონაწილეზე, შესაბამის ეროვნულ სპორტულ ფედერაციას დამატებით მიეცეს 17 000 ლარი.

მუხლი 8. სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში მოასპარეზე საქართველოს სპორტსმენების საერთაშორისო შეჯიბრებებზე წარმატებით გამოსვლის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნულ სახეობებში მოასპარეზე საქართველოს სპორტსმენთა, მათ მწრთვნელთა და აგრეთვე, ნაკრები გუნდების საექიმო პერსონალის წასახალისებლად სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით დაწესდეს შემდეგი ფულადი პრიზები (ლარებში):

1. სამბო:

ა) ეროვნული ნაკრები:

ა.ა.) მსოფლიოს ჩემპიონატი:

I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 17 000,

II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 8 500,

III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 5 100;

ა.ბ) ევროპის ჩემპიონატი:

I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 8 500,

II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 5 100,

III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 1 700;

ბ) ახალგაზრდული ნაკრები:

ბ.ა) მსოფლიოს პირველობა:

I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 5 100,

II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 3 400,

III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 1 700;

ბ.ბ) ევროპის პირველობა:

I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 3 400,

II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 1 700,

III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) - 850;

გ) ჭაბუკთა ნაკრები:

გ.ა) მსოფლიოს პირველობა:

I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 3 400;

გ.ბ) ევროპის პირველობა:

I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 1 700;

დ) სპორტსმენთა პირად მწვრთნელებსა და ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ თითოეულს პირად შეჯიბრებებში მიღწეული შედეგისათვის განსაზღვრული საპრიზო თანხის 50 პროცენტი;

ე) ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ პირად-გუნდურ პირველობებში მიღწეული შედეგისათვის განსაზღვრული საპრიზო თანხის 50 პროცენტი;

ვ) ნაკრები გუნდების საექიმო პერსონალს მიეცეს სპორტსმენთა ჯამური საპრიზო თანხის 20 პროცენტი.

2. მკლავჭიდი:

ა) ეროვნული ნაკრები:

ა.ა.) მსოფლიოს ჩემპიონატი:

I ადგილი – 17 000,

II ადგილი – 8 500,

III ადგილი – 5 100;

ა.ბ) ევროპის ჩემპიონატი:

I ადგილი – 8 500,

II ადგილი – 5 100,

III ადგილი – 1 700;

ბ) ახალგაზრდული ნაკრები:

ბ.ა) მსოფლიოს პირველობა:

I ადგილი – 5 100,

II ადგილი – 3 400,

III ადგილი – 1 700;

ბ.ბ) ევროპის პირველობა:

I ადგილი – 3 400,

II ადგილი – 1 700,

III ადგილი – 850;

გ) ჭაბუკთა ნაკრები:

გ.ა) მსოფლიოს პირველობა:

I ადგილი – 3 400;

გ.ბ) ევროპის პირველობა:

I ადგილი – 1 700;

დ) ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ თითოეულს მათი ნაკრები გუნდის სპორტსმენთა საპრიზო თანხის 50 პროცენტი;

ე) ნაკრები გუნდების საექიმო პერსონალს მიეცეს სპორტსმენთა ჯამური საპრიზო თანხის 20 პროცენტი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი პრიზები ვრცელდება მკლავჭიდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შორის გასამართ ანალოგიურ შეჯიბრებებზე მიღწეულ იგივე შედეგებზე.

4. ჭადრაკი:

ა) ეროვნული ნაკრები:

ა.ა) საჭადრაკო ოლიმპიადა:

I ადგილი – 170 000,

II ადგილი – 119 000,

III ადგილი – 85 000,

IV ადგილი – 51 000,

V ადგილი – 34 000,

VI ადგილი – 17 000;

ა.ბ) მსოფლიოს ჩემპიონატზე:

I ადგილი პირადი – 17 000, გუნდური – 34 000,

II ადგილი პირადი – 11 900, გუნდური – 25 500;

ა.გ) ევროპის ჩემპიონატზე:

I ადგილი პირადი – 11 900, გუნდური – 25 500,

II ადგილი პირადი – 8 500, გუნდური – 17 000,

III ადგილი პირადი – 5 100, გუნდური – 10 200;

ბ) 20 წლის ასაკობრივ ჯგუფში:

მსოფლიოს ჩემპიონატზე:

I ადგილი – 8 500,

II ადგილი – 5 100,

III ადგილი – 3 400;

გ) 16 და 18 წლის ასაკობრივ ჯგუფებში:

გ.ა) მსოფლიოს ჩემპიონატზე:

I ადგილი – 5 100,

II ადგილი – 3 400,

III ადგილი – 1 700;

გ.ბ) ევროპის ჩემპიონატზე:

I ადგილი – 3 400,

II ადგილი – 1 700,

III ადგილი – 850;

დ) სპორტსმენთა პირად მწვრთნელებსა და ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ თითოეულს პირად შეჯიბრებებში მიღწეული შედეგისათვის განსაზღვრული საპრიზო თანხის 50-50 პროცენტი;

ე) ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ გუნდურ პირველობებში მიღწეული შედეგისათვის განსაზღვრული საპრიზო თანხის 50 პროცენტი.

მუხლი 9. სპორტის სათამაშო სახეობებში მოასპარეზე საქართველოს ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებზე წარმატებით გამოსვლის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული ნაკრები გუნდების წევრების, მწრთვნელების, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის წასახალისებლად, სპორტულ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგების მიხედვით დაწესდეს შემდეგი ფულადი პრიზები (ლარებში):

1. ფეხბურთი:

ა) ეროვნული ნაკრები გუნდი:

ა.ა) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 1 360 000;

ა.ბ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 340 000;

ა.გ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 3 400 000,

II ადგილი – 2 550 000,

III ადგილი – 1 700 000;

ა.დ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 850 000;

ა.ე) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 170 000;

ა.ვ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი –1 700 000,

II ადგილი – 1 360 000,

III ადგილი – 1 020 000;

ბ) ახალგაზრდული ნაკრები გუნდი:

ბ.ა) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 340 000;

ბ.ბ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 85 000;

ბ.გ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 680 000,

II ადგილი – 510 000,

III ადგილი – 340 000;

ბ.დ) ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლების მოპოვებისათვის – 510 000;

გ) ოლიმპიური ნაკრები გუნდი:

გ.ა) ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 170 000;

გ.ბ) ოლიმპიურ თამაშებზე საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი –1 700 000,

II ადგილი – 1 360 000,

III ადგილი – 1 020 000;

დ) 20-წლამდელთა ნაკრები გუნდი:

დ.ა) მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 85 000;

დ.ბ) მსოფლიოს ჩემპიონატზე საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 1 020 000,

II ადგილი – 680 000,

III ადგილი – 510 000;

ე) 19-წლამდელთა ნაკრები გუნდი:

ე.ა) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 170 000;

ე.ბ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 51 000;

ე.გ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 510 000,

II ადგილი – 340 000,

III ადგილი – 255 000;

ე.დ) 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლების მოპოვებისათვის – 255 000;

ვ) 17-წლამდელთა ნაკრები გუნდი:

ვ.ა) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 170 000;

ვ.ბ) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 51 000;

ვ.გ) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 510 000,

II ადგილი – 340 000,

III ადგილი – 170 000;

ვ.დ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლის შემთხვევაში – 85 000;

ვ.ე) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 34 000;

ვ.ვ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 255 000,

II ადგილი – 170 000,

III ადგილი – 85 000.

2. კალათბურთი (ეროვნული ნაკრები):

ა) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 255 000;

ბ) ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველ ეტაპზე ქვეჯგუფში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 85 000;

გ) ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველი ეტაპის ქვეჯგუფიდან გასვლისათვის (12 საუკეთესო გუნდში მოხვედრისათვის) – 255 000;

დ) ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველი ეტაპის ქვეჯგუფიდან გასვლის შემდეგ (12 საუკეთესო გუნდში) მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 170 000;

ე) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 850 000;

II ადგილი – 680 000;

III ადგილი – 510 000;

ვ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ასპარეზობის უფლების მოპოვებისათვის – 510 000;

ზ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველ ეტაპზე ქვეჯგუფში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 170 000;

თ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველი ეტაპის ქვეჯგუფიდან გასვლისათვის (16 საუკეთესო გუნდში მოხვედრისათვის) – 510 000;

ი) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველი ეტაპის ქვეჯგუფიდან გასვლის შემდეგ (16 საუკეთესო გუნდში) მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 340 000;

კ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი –1 700 000;

II ადგილი – 1 360 000;

III ადგილი – 1 020 000.

3. რაგბი:

ა) რაგბი 7-ში კაცთა და ქალთა ეროვნული ნაკრები გუნდები:

ა.ა) ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლების მოპოვებისათვის – 255 000;

ა.ბ) მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლების მოპოვებისათვის – 170 000;

ა.გ) მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 42 500;

ა.დ) FIRA-IRB-ის (ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციები) ეგიდით ჩატარებული ოფიციალურ-სარეიტინგო შეხვედრებში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 5 100;

ა.ე) IRB-ის (მსოფლიოს ფედერაცია) მსოფლიო სერიის შესარჩევ თამაშებზე ასპარეზობის უფლების მოპოვებისათვის – 34 000;

ა.ვ) IRB-ის (მსოფლიოს ფედერაცია) მსოფლიო სერიის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლების მოპოვებისათვის – 51 000;

ა.ზ) IRB-ის (მსოფლიოს ფედერაცია) ეგიდით ჩატარებული ოფიციალურ-სარეიტინგო შეხვედრებში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 7 650;

ბ) თხუთმეტკაცა რაგბში ეროვნული ნაკრები გუნდი:

ბ.ა) მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლების მოპოვებისათვის – 680 000;

ბ.ბ) ევროპის ერთა თასის მოპოვებისათვის – 170 000;

ბ.გ) მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 170 000;

ბ.დ) FIRA-IRB-ის (ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციები) ეგიდით ჩატარებული ოფიციალურ-სარეიტინგო შეხვედრაზე მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის -59 500.

4. ხელბურთი, წყალბურთი, ფრენბურთი:

ა) ეროვნული ნაკრები გუნდი:

ა.ა) ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლების მოპოვების შემთხვევაში – 340 000;

ა.ბ) ოლიმპიური თამაშების ფინალური ეტაპზე მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 85 000;

ა.გ) ოლიმპიურ თამაშებზე საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 850 000,

II ადგილი – 510 000,

III ადგილი – 340 000;

ა.დ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 255 000;

ა.ე) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 85 000;

ა.ვ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 680 000,

II ადგილი – 340 000,

III ადგილი – 255 000;

ა.ზ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 170 000;

ა.თ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 51 000;

ა.ი) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 425 000,

II ადგილი – 255 000,

III ადგილი – 170 000;

ბ) ახალგაზრდული ნაკრები გუნდი:

ბ.ა) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 136 000;

ბ.ბ) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 25 500;

ბ.გ) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 170 000;

II ადგილი – 119 000;

III ადგილი – 85 000;

ბ.დ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 85 000;

ბ.ე) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 17 000;

ბ.ვ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 119 000,

II ადგილი – 85 000,

III ადგილი – 51 000;

გ) ჭაბუკთა ნაკრები გუნდი:

გ.ა) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 102 000;

გ.ბ) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 17 000;

გ.გ) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 85 000,

II ადგილი – 51 000,

III ადგილი – 34 000;

გ.დ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლისათვის – 68 000;

გ.ე) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოპოვებული თითოეული გამარჯვებისათვის – 8 500;

გ.ვ) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის:

I ადგილი – 68 000,

II ადგილი – 34 000,

III ადგილი – 25 500.

მუხლი 10. სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ (როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის) და არაოლიმპიურ სახეობებში გუნდურ და პირად-გუნდურ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისათვის და სპორტის ცალკეული სათამაშო სახეობებისათვის განსაზღვრული ფულადი პრიზები (სპორტსმენებს, მწრთვნელებს, სათამაშო სახეობებში – აგრეთვე საექიმო და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის) გადანაწილდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის აღნიშნულ სახეობებში საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე.

მუხლი 11. საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის (IPC) ეგიდით გასამართ გუნდურ და პირად-გუნდურ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისათვის ფულადი პრიზები (სპორტსმენებს, მწრთვნელებს და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის) გადანაწილდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის ა(ა)იპ – საქართველოს ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე.

მუხლი 12. სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ (როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის) და არაოლიმპიურ სახეობებში და საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის (IPC) ეგიდით გასამართ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით საექიმო პერსონალისათვის განსაზღვრული თანხები გადანაწილდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის ა(ა)იპ – საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე.